დანართი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ზედამხედველობის დეპარტამენტის დებულება

თავი I
ზოგადი დებულებები

მუხლი 1
ეს დებულება განსაზღვრავს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის (შემდგომში – სამსახური) ზედამხედველობის დეპარტამენტის (შემდგომში – დეპარტამენტი) სამართლებრივ სტატუსს, ამოცანებს, ფუნქციებს, სტრუქტურას, ანგარიშვალდებულებას და აწესრიგებს დეპარტამენტის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

მუხლი 2
1. დეპარტამენტი სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფია, რომელიც ასრულებს სამსახურისა და ამ დებულებით მასზე დაკისრებულ ამოცანებს და ფუნქციებს. დეპარტამენტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში წარმოადგენს სამსახურს.
2. დეპარტამენტს შესაძლებელია ჰქონდეს ბეჭედი მცირე სახელმწიფო გერბის გამოსახულებით და დეპარტამენტის სახელწოდებით.

მუხლი 3
დეპარტამენტი საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების, მათ შორის საქართველოს მთავრობის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და სამსახურის უფროსის სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

მუხლი 4
დეპარტამენტი ანგარიშვალდებულია სამსახურის უფროსის და კურატორი სამსახურის უფროსის მოადგილის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წინაშე, რომლებიც ახორციელებენ მასზე სამსახურებრივ ზედამხედველობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი II
დეპარტამენტის ამოცანები და ფუნქციები

მუხლი 5
დეპარტამენტის ამოცანებია:
ა) სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის და სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების მიერ სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების და საგანგებო სიტუაციის პრევენციისა და მასზე რეაგირების მოთხოვნების შესრულებაზე ზედამხედველობა;
ბ) სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის და სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების მიერ სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვისა და საგანგებო სიტუაციის პრევენციის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება;
გ) კერძო სახანძრო-სამაშველო და კერძო მიწისქვეშა საძიებო-სამაშველო დანაყოფების (სამთო მაშველი) საქმიანობის რეგულირება;

დ) სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტების, ნორმების და სტანდარტების შემუშავება.

მუხლი 6

დეპარტამენტის ფუნქციებია:

ა) სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის და სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების ტერიტორიაზე და შენობა-ნაგებობებში შემოწმების ჩატარება, ხანძარსაწინააღმდეგო დაცვისა და შეტყობინების ლოკალური სისტემების გამოცდა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ზედამხედველობის სხვა ღონისძიებების განხორციელება;

ბ) დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის და სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტებისაგან ზედამხედველობის განხორციელებისთვის საჭირო ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გამოთხოვა;

გ) სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებისა და საგანგებო სიტუაციის პრევენციისა და მასზე რეაგირების მოთხოვნების დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში სათანადო მიწერილობის გაცემა გამოვლენილი დარღვევის აღმოფხვრის ან ამ მოთხოვნების შესრულების თაობაზე, ხოლო საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა და სამართალდამრღვევისათვის ადმინისტრაციული სახდელის შეფარდება;

დ) სასამართლოსათვის მიმართვა სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ობიექტის შენობა-ნაგებობის, საწარმოო უბნის, აგრეგატის ან/და სათავსის ექსპლუატაციის ან ცალკეული სამუშაოების ჩატარების მთლიანად ან ნაწილობრივ შეჩერების შესახებ, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის ან/და შეუსრულებლობის გამოვლენის შემთხვევაში, რაც ქმნის ხანძრის გაჩენის საშიშროებას ან/და საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას;

ე) სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოებისათვის, აგრეთვე სახელმწიფო რწმუნებულისათვის წინადადებებისა და რეკომენდაციების წარდგენა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებისა და საგანგებო სიტუაციის პრევენციისა და მასზე რეაგირების მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების თაობაზე;

ვ) კერძო სახანძრო-სამაშველო დანაყოფის საქმიანობის მარეგულირებელი სტანდარტებისა და ნორმების შემუშავება, მათი აღჭურვილობისა და მზადყოფნის დონის შემოწმება;

ზ) კერძო მიწისქვეშა საძიებო-სამაშველო დანაყოფების (სამთო მაშველი) საქმიანობის მარეგულირებელი სტანდარტებისა და ნორმების შემუშავება, მათი აღჭურვილობისა და მზადყოფნის დონის შემოწმება;

თ) საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მომსახურების გაწევის საქმიანობაში მონაწილეობის მიღება;

ი) საჭიროების შემთხვევაში, ობიექტის ან უფლებამოსილი ორგანოს მომართვის საფუძველზე, ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის მოწყობილობებისა და სისტემების გამოცდა და სათანადო აქტის გაფორმება;

კ) სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესასრულებლად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ობიექტის მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში (ადმინისტრაციული წარმოების შესაბამის სტადიაზე) და მშენებლობადამთავრებული სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების პროცესში მონაწილეობის მიღება;

ლ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ხანძრის მიზეზების შესწავლა; სახანძრო უსაფრთხოების ნორმებისა და სტანდარტების სრულყოფის მიზნით პრაქტიკის განზოგადება და სამსახურის ხელმძღვანელობისთვის წარდგენა;

მ) სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის და სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების მიერ სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვის გაუმჯობესების მიზნით წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება და სამსახურის ხელმძღვანელობისთვის წარდგენა;
ნ) საქართველოს კანონმდებლობით, ასევე სამსახურის უფროსისა და კურატორი სამსახურის უფროსის მოადგილის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიერ საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე დაკისრებული სხვა ფუნქციების შესრულება.

თავი III
დეპარტამენტის სტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები

მუხლი 7
დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულებია:
ა) პრევენციისა და რეაგირების სამმართველო;
ბ) პოლიტიკის განსაზღვრის სამმართველო, რომელშიც შედის შემდეგი დანაყოფები:
ბ.ა) ნორმატიულ-ტექნიკური განყოფილება;
ბ.ბ) ადმინისტრირების განყოფილება.

მუხლი 8
პრევენციისა და რეაგირების სამმართველოს ფუნქციებია:
ა) სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის და სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების ტერიტორიაზე და შენობა-ნაგებობებში შემოწმების ჩატარება, ხანძარსაწინააღმდეგო დაცვისა და შეტყობინების ლოკალური სისტემების გამოცდა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ზედამხედველობის სხვა ღონისძიებების განხორციელება;
ბ) დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის და სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტებისაგან ზედამხედველობის განხორციელებისთვის საჭირო ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გამოთხოვა;
გ) სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებისა და საგანგებო სიტუაციის პრევენციისა და მასზე რეაგირების მოთხოვნების დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში სათანადო მიწერილობის გაცემა გამოვლენილი დარღვევის აღმოფხვრის ან ამ მოთხოვნების შესრულების თაობაზე, ხოლო საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა და სამართალდამრღვევისათვის ადმინისტრაციული სახდელის შეფარდება;
დ) სასამართლოსათვის მიმართვა სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ობიექტის შენობა-ნაგებობის, საწარმოო უბნის, აგრეგატის ან/და სათავსის ექსპლუატაციის ან ცალკეული სამუშაოების ჩატარების მთლიანად ან ნაწილობრივ შეჩერების შესახებ, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის ან/და შეუსრულებლობის გამოვლენის შემთხვევაში, რაც ქმნის ხანძრის გაჩენის საშიშროებას ან/და საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას;
ე) მშენებლობადამთავრებული სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების პროცესში მონაწილეობის მიღება;
ვ) კერძო სახანძრო-სამაშველო დანაყოფის საქმიანობის, მათი აღჭურვილობისა და მზადყოფნის დონის შემოწმება;
ზ) კერძო მიწისქვეშა საძიებო-სამაშველო დანაყოფების (სამთო მაშველი) საქმიანობის, მათი აღჭურვილობისა და მზადყოფნის დონის შემოწმება;
თ) საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მომსახურების გაწევის საქმიანობაში მონაწილეობის მიღება;
ი) საჭიროების შემთხვევაში, ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის მოწყობილობებისა და შეტყობინების ლოკალური სისტემების გამოცდა და სათანადო აქტის გაფორმება;

კ) დეპარტამენტის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით სამართლებრიცვი აქტების პროექტების შემუშავებაში მონაწილეობა;
ლ) საქართველოს კანონმდებლობით, ასევე სამსახურის უფროსის, კურატორი სამსახურის უფროსის მოადგილის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), დეპარტამენტის უფროსისა და დეპარტამენტის უფროსის მოადგილის მიერ საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე დაკისრებული სხვა ფუნქციების შესრულება.

მუხლი 9

1. პოლიტიკის განსაზღვრის სამმართველოს ფუნქციებია:
ა) სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოებისათვის, აგრეთვე სახელმწიფო რწმუნებულისთვისწინადადებებისა და რეკომენდაციების წარდგენა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებისა და საგანგებო სიტუაციის პრევენციისა და მასზე რეაგირების მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების თაობაზე;
ბ) კერძო სახანძრო-სამაშველო დანაყოფის საქმიანობის მარეგულირებელი სტანდარტებისა და ნორმების შემუშავება;
გ) კერძო მიწისქვეშა საძიებო-სამაშველო დანაყოფების (სამთო მაშველი) საქმიანობის მარეგულირებელი სტანდარტებისა და ნორმების შემუშავება;
დ) სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესასრულებლად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ობიექტის მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში (ადმინისტრაციული წარმოების შესაბამის სტადიაზე) და მშენებლობადამთავრებული სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების პროცესში მონაწილეობის მიღება;
ე) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ხანძრის მიზეზების შესწავლა;
ვ) სახანძრო უსაფრთხოების ნორმებისა და სტანდარტების სრულყოფის მიზნით პრაქტიკის განზოგადება და სამსახურის ხელმძღვანელობისთვის წარდგენა;
ზ) სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის და სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების მიერ სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვის გაუმჯობესების მიზნით წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება და სამსახურის ხელმძღვანელობისთვის წარდგენა;
თ) სახანძრო-ტექნიკური შემოწმების დაგეგმვის მიზნით შესამუშავებელი წლიური გეგმების შედგენა და მათი მუდივი განახლების უზრუნველყოფა;
ი) დეპარტამენტში შესული კორესპონდენციის ადმინისტრირება, შესრულების კონტროლი და დაარქივება;
კ) დეპარტამენტის მიერ განხორციელებული საქმიანობის სტატისტიკური მონაცემების შეგროვება და დამუშავება;
ლ) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სახდელების გამოყენების შესახებ სტატისტიკური მონაცემების შეგროვება და დამუშავება;
მ) დეპარტამენტის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავება;
ნ) საქართველოს კანონმდებლობით, ასევე სამსახურის უფროსის, კურატორი სამსახურის უფროსის მოადგილის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), დეპარტამენტის უფროსისა და დეპარტამენტის უფროსის მოადგილის მიერ საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე დაკისრებული სხვა ფუნქციების შესრულება.
2. პოლიტიკის განსაზღვრის სამმართველოს ნორმატიულ-ტექნიკური განყოფილების ფუნქციებია:
ა) სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესასრულებლად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ობიექტის მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში (ადმინისტრაციული წარმოების შესაბამის სტადიაზე) და

მშენებლობადამთავრებული სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების პროცესში მონაწილეობის მიღება;
ბ) ხანძრის მიზეზების შესწავლა; სახანძრო უსაფრთხოების ნორმებისა და სტანდარტების სრულყოფის მიზნით პრაქტიკის განზოგადება და წინადადებების მომზადება;
გ) სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოებისათვის, აგრეთვე სახელმწიფო რწმუნებულისთვის წინადადებებისა და რეკომენდაციების წარდგენა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებისა და საგანგებო სიტუაციის პრევენციისა და მასზე რეაგირების მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების თაობაზე;
დ) სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის და სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების მიერ სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვის გაუმჯობესების მიზნით წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება;
ე) კერძო სახანძრო-სამაშველო დანაყოფის საქმიანობის მარეგულირებელი სტანდარტებისა და ნორმების შემუშავება;
ვ) კერძო მიწისქვეშა საძიებო-სამაშველო დანაყოფების (სამთო მაშველი) საქმიანობის მარეგულირებელი სტანდარტებისა და ნორმების შემუშავება;
ზ) დეპარტამენტის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავება;
თ) საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მომსახურების გაწევის საქმიანობაში მონაწილეობის მიღება;
ი) საქართველოს კანონმდებლობით, ასევე დეპარტამენტის უფროსის, დეპარტამენტის უფროსის მოადგილის, სამმართველოს უფროსისა და სამმართველოს უფროსის მოადგილის მიერ საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე დაკისრებული სხვა ფუნქციების შესრულება.
3. პოლიტიკის განსაზღვრის სამმართველოს ადმინისტრირების განყოფილების ფუნქციებია:
ა) დეპარტამენტის ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტის მიზნით შესაბამისი კორესპონდენციის მომზადება;
ბ) დეპარტამენტში შემოსული კორესპონდენციის ადმინისტრირება და მისი შესრულების კონტროლი;
გ) დეპარტამენტის მიერ განხორციელებული საქმიანობის - სახანძრო-ტექნიკური შემოწმებების და საპროექტო დოკუმენტაციის განხილვის შედეგების შესახებ სტატისტიკური მონაცემების შეგროვება და დამუშავება;
დ) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სახდელების გამოყენების შესახებ სტატისტიკური მონაცემების შეგროვება, დამუშავება, ანალიზი და მათი აღსრულების კონტროლი;
ე) დეპარტამენტის მიერ განხორციელებული საქმიანობის - სახანძრო-ტექნიკური შემოწმებების და საპროექტო დოკუმენტაციის განხილვის შედეგად მომზადებული დოკუმენტაციის დაარქივება და შესაბამის სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში განთავსება;
ვ) სახანძრო-ტექნიკური შემოწმების დაგეგმვის მიზნით შესამუშავებელი წლიური გეგმების შედგენაში მონაწილეობის მიღება;
ზ) საქართველოს კანონმდებლობით, ასევე დეპარტამენტის უფროსის, დეპარტამენტის უფროსის მოადგილის, სამმართველოს უფროსისა და სამმართველოს უფროსის მოადგილის მიერ საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე დაკისრებული სხვა ფუნქციების შესრულება.

თავი IV
დეპარტამენტის ხელმძღვანელობა და მათი უფლებამოსილებანი

მუხლი 10

1. დეპარტამენტს ხელმძღვანელობს დეპარტამენტის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სამსახურის უფროსი.
2. დეპარტამენტის უფროსი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დეპარტამენტზე დაკისრებული სამსახურებრივი ამოცანების შესრულებისათვის ანგარიშვალდებულია სამსახურის უფროსის და კურატორი სამსახურის უფროსის მოადგილის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წინაშე.
3. დეპარტამენტის უფროსი, დეპარტამენტზე დაკისრებული ამოცანების შესრულების მიზნით:

ა) ხელმძვანელობს საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში;

ბ) ახორციელებს დეპარტამენტის საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობას, წყვეტს დეპარტამენტის გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებს, წარმართავს დეპარტამენტის საქმიანობას და პასუხისმგებელია დეპარტამენტზე დაკისრებული მოვალეობების ჯეროვანი შესრულებისათვის;

გ) კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;

დ) სამსახურის უფროსთან შეთანხმებით უზრუნველყოფს სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის და სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების სახანძრო-ტექნიკური შემოწმებების დაგეგმვას და შესაბამისი წლიური გეგმის დამტკიცებას;

ე) ანაწილებს მოვალეობებს დეპარტამენტის მოსამსახურეებს შორის, ზედამხედველობს მათ მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას და შრომის დისციპლინის დაცვას;

ვ) სამმართველოში შემოსულ კორესპონდენციას ანაწილებს სამმართველოს მოსამსახურეებზე;

ზ) კონტროლს უწევს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებისა და მითითებების/ინსტრუქციების შესრულებას სამმართველოს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე;

თ) ხელმძღვანელობს სამმართველოში სტაჟირების გავლას;

ი) პერიოდულად აანალიზებს დეპარტამენტის საქმიანობას და სამსახურის უფროსს და კურატორ სამსახურის უფროსის მოადგილეს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარუდგენს წინადადებებს დეპარტამენტის მუშაობის გაუმჯობესების შესახებ, მათ შორის, იმ სახსრების, მოწყობილობებისა და ინვენტარის გამოყოფის თაობაზე, რომლებიც საჭიროა დეპარტამენტის ამოცანების შესასრულებლად;

კ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სამსახურის უფროსს და კურატორი სამსახურის უფროსის მოადგილეს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარუდგენს წინადადებებს დეპარტამენტის მოსამსახურეთა წახალისების შესახებ;

ლ) მიმართავს სამსახურის შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფს სამმართველოს მოსამსახურეების მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების შესახებ;

მ) კომპეტენციის ფარგლებში შუამდგომლობს სამსახურის უფროსის და კურატორი სამსახურის უფროსის მოადგილის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წინაშე დეპარტამენტის მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების შესახებ;

ნ) პერიოდულად ისმენს ანგარიშს დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულების უფროსებისა და მოსამსახურეების მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ;

ო) ახორციელებს დეპარტამენტში მომზადებული დოკუმენტაციის ვიზირებას ან ხელმოწერას;

პ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში, იხილავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებს და სამართალდამრღვევს შეუფარდებს ადმინისტრაციულ სახდელს;

ჟ) ასრულებს სამსახურის უფროსის და კურატორი სამსახურის უფროსის მოადგილის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ცალკეულ დავალებებსა და მითითებებს;

რ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 11

1. დეპარტამენტის უფროსს ჰყავს მოადგილე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სამსახურის უფროსი.

2. დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მასზე დაკისრებული სამსახურებრივი ამოცანების შესრულებისათვის ანგარიშვალდებულია სამსახურის უფროსის, კურატორი სამსახურის უფროსის მოადგილის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და დეპარტამენტის უფროსის წინაშე.

3. დეპარტამენტის უფროსის მოადგილე:

ა) ხელს უწყობს დეპარტამენტის უფროსს მასზე დაკისრებული მოვალეობების განხორციელებაში;

ბ) ასრულებს დეპარტამენტის უფროსის დავალებებს და განიხილავს დეპარტამენტში შესულ კორესპონდენციას;

გ) ანაწილებს დავალებებს დეპარტამენტის სტრუქტურულ ერთეულებსა და მოსამსახურეებს შორის და კონტროლს უწევს მათ შესრულებას;

დ) კონტროლს უწევს დეპარტამენტის მოსამსახურეთა მიერ მოვალეობების ჯეროვნად შესრულებას;

ე) კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს დეპარტამენტში მომზადებული დოკუმენტაციის ვიზირებას ან ხელმოწერას;

ვ) პერიოდულად აანალიზებს დეპარტამენტის საქმიანობას და დეპარტამენტის უფროსს წარუდგენს წინადადებებს დეპარტამენტის საქმიანობის გაუმჯობესების შესახებ;

ზ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში, დეპარტამენტის უფროსის დავალებით იხილავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებს და სამართალდამრღვევს შეუფარდებს ადმინისტრაციულ სახდელს;

თ) ასრულებს სამსახურის უფროსის, კურატორი სამსახურის უფროსის მოადგილის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და დეპარტამენტის უფროსის ცალკეულ დავალებებსა და მითითებებს;

ი) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

4. დეპარტამენტის უფროსის არყოფნისას ან მის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, მის მოვალეობას სამსახურის უფროსის გადაწყვეტილებით ასრულებს დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ან დეპარტამენტის ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეულის უფროსი

მუხლი 12

1. დეპარტამენტში შემავალ სამმართველოს ხელმძღვანელობს სამმართველოს უფროსი, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სამსახურის უფროსი.

2. სამმართველოს უფროსი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სამმართველოზე დაკისრებული სამსახურებრივი ამოცანების შესრულებისათვის ანგარიშვალდებულია სამსახურის უფროსის და კურატორი სამსახურის უფროსის მოადგილის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), დეპარტამენტის უფროსის და დეპარტამენტის უფროსის მოადგილის წინაშე.

3. სამმართველოს უფროსი სამმართველოზე დაკისრებული ამოცანების შესრულების მიზნით:

ა) ხელმძღვანელობს შესაბამისი სამმართველოს საქმიანობას;

ბ) ანაწილებს შესაბამის სამმართველოს მიკუთვნებულ კორესპონდენციას სამმართველოს მოსამსახურეებს შორის;

გ) უზრუნველყოფს სამმართველოს მუშაობის ორგანიზებას და ზედამხედველობს სამმართველოს მოსამსახურეთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას;

დ) ახორციელებს სამმართველოში მომზადებული დოკუმენტაციის ვიზირებას;

ე) კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში, ადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს და სამართალდამრღვევს შეუფარდებს ადმინისტრაციულ სახდელს;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში კონტროლს უწევს სამსახურისა და დეპარტამენტის ხელმძღვანელობის ცალკეული დავალებების შესრულებას;
ზ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.
4. სამმართველოს უფროსს ჰყავს მოადგილე ან მოადგილეები, რომელთა რაოდენობა განისაზღვრება სამსახურის საშტატო ნუსხით. სამმართველოს უფროსის მოადგილეს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სამსახურის უფროსი.
5. სამმართველოს უფროსის მოადგილე:
ა) ხელს უწყობს სამმართველოს უფროსს მასზე დაკისრებული მოვალეობების განხორციელებაში;
ბ) ზედამხედველობას უწევს სამმართველოების მოსამსახურეების მიერ სამსახურებრივი მოვალეობების ჯეროვნად შესრულებას, აძლევს მათ შესაბამის მითითებებსა და დავალებებს;
გ) ახორციელებს სამმართველოში მომზადებული დოკუმენტაციის ვიზირებას საკურატორო სფეროს მიხედვით;
დ) კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში, ადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს და სამართალდამრღვევს შეუფარდებს ადმინისტრაციულ სახდელს;
ე) ასრულებს სამსახურის უფროსის, კურატორი უფროსის მოადგილის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), დეპარტამენტის უფროსისა და დეპარტამენტის უფროსის მოადგილის, ასევე სამმართველოს უფროსის ცალკეულ დავალებებსა და მითითებებს;
ვ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.
6. სამმართველოს უფროსის მოადგილე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სამმართველოზე დაკისრებული სამსახურებრივი ამოცანების შესრულებისათვის ანგარიშვალდებულია სამსახურის უფროსის, კურატორი უფროსის მოადგილის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), დეპარტამენტის უფროსის, დეპარტამენტის უფროსის მოადგილისა და სამმართველოს უფროსის წინაშე.

მუხლი 13
1. პოლიტიკის განსაზღვრის სამმართველოში შემავალ განყოფილებებს ხელმძღვანელობენ განყოფილების უფროსები, რომლებსაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სამსახურის უფროსი.
2. განყოფილების უფროსი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, განყოფილებაზე დაკისრებული სამსახურებრივი ამოცანების შესრულებისათვის ანგარიშვალდებულია სამსახურის უფროსის და კურატორი სამსახურის უფროსის მოადგილის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), დეპარტამენტის უფროსის, დეპარტამენტის უფროსის მოადგილის, სამმართველოს უფროსის და სამმართველოს უფროსის მოადგილის წინაშე.
3. განყოფილების უფროსი განყოფილებაზე დაკისრებული ამოცანების შესრულების მიზნით:
ა) ხელმძღვანელობს შესაბამისი განყოფილების საქმიანობას;
ბ) ანაწილებს განყოფილებას მიკუთვნებულ კორესპონდენციას განყოფილების მოსამსახურეებს შორის;
გ) უზრუნველყოფს განყოფილების მუშაობის ორგანიზებას და ზედამხედველობს განყოფილების მოსამსახურეთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას;
დ) საჭიროებისამებრ ახორციელებს განყოფილებაში მომზადებული დოკუმენტაციის ვიზირებას;
ე) კომპეტენციის ფარგლებში კონტროლს უწევს ხელმძღვანელობის ცალკეული დავალებების შესრულებას;
ვ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.